თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 30 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) – „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1 (1:1).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, გურული, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, მიქაბერიძე (უგრელიძე, 70), ცაავა (რევიშვილი, 55), მესხი.

„ტორპედო“: მიქაძე, შენგელია, ჭელიძე, მალანია, ვასაძე, ბარათაშვილი, კორღალიძე, ჟორჟიკაშვილი (პაიკიძე, 70), მეგრელაძე, ხაგბა (ტყავაძე, 80), მანაგაძე.

მსაჯი ვ. კუზნეცოვი (ომსკი).

გოლები: კორღალიძე (5), ჩივაძე (33), გურული (69).

დუბლიორები - 4:1.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკის ორივე გუნდი კარგა მანძილითაა დაცილებული მედლებისა თუ სხვადასხვა ჯილდოების მაძიებელთა ჯგუფს და მეტად მოკრძალებული ამოცანები აქვს გადასაჭრელი. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ განსაკუთრებით მძიმე დღეები უდგას ქუთაისის „ტორპედოს“, რომელსაც უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს (იგი გათამაშების ცხრილის ბოლოშია). ქუთაისელთა ყოველი მორიგი მარცხი, ყოველი ქულის დაკარგვა, იმის მანიშნებელია, რომ მას უძლიერესთა რიგების დატოვების საფრთხე ელის.

ტორპედოელთა „სადებიუტო“ აქტიურობაც ამ მატჩში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა. მათი თავდამსხმელები მეგრელაძე და მანაგაძე პირველივე წუთებიდან ჩაერთვნენ თამაშში და „დუეტს“ მხარი აუბეს კორღალიძემ, ხაგბამ შენგელიამ. დინამოელები, ეტყობა, არ ელოდნენ ასეთ დასაწყისს, ყოველ შემთხვევაში, ისინი სრულიად მარტივ სიტუაციებში ცდებოდნენ და პირველ ნახევარ საათში ვერაფრით ვერ მოძებნეს კონტრთამაში. თამაშის დაწყებიდან 5 წუთიც არ იყო გასული, რომ სტუმრებმა კარგად ისარგებლეს თბილისელი მცველების მორიგი შეცდომით და ანგარიშიც გახსნეს: მეგრელაძემ მარცხენა ფლანგიდან მიიღო გადაცემა, სწრაფად შეაფასა სიტუაცია და ზუსტი პასით კარგ პოზიციაში გადაიყვანა კორღალიძე, რომელმაც შეუჩერებლად დაარტყა მარცხენა დაბალ კუთხეში - 1:0. ლამაზად გათამაშებულმა ამ კომბინაციამ თითქოს საკუთარი ძალების რწმენა შეჰმატა ქუთაისელ ფეხბურთელებს. ისინი განაგრძობდნენ მეტოქის კარის იერიშს და ზუსტად 10 წუთის შემდეგ ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობაც მიეცათ! მეგრელაძე გაბელიასთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ზუსტად დარტყმა ვეღარ შეძლო. გავიდა კიდევ 8 წუთი და ახლა უკვე მანაგაძემ გაუშვა ხელიდან ბურთის გატანის ჩინებული შანსი: მისი ძლიერი დარტყმა (დაახლოებით 7-8 მეტრიდან) გაბელიამ კუთხურზე მოიგერია.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს თბილისელები მხოლოდ ამ მომენტის მერე მოვიდნენ გონს. მიხვდნენ, რომ ასეთი თამაშით არათუ საპასუხო ბურთს ვერ

გაიტანდნენ, საკუთარ კარსაც ხიფვათში აგდებნდნენ. პირველი საგოლე სიტუაცია დინამოელებმა 31-ე წუთზე შექმნეს: გურულმა მარცხენა ფლანგიდან ზუსტად ჩააწოდა კაკილაშვილს (რომელიც ქუთაისელთა მცველებმა სრულიად უმეთვალყურედ დატოვეს) და ამ უკანასკნელმა თავით შეუფერხებლად დაარტყა კარში: ბურთი ძელს მოხვდა.

ორი წუთის შემდეგ ანგარიში მაინც გათანაბრდა - თბილისელთა ერთ-ერთი შეტევისას სტუმრებმა წააქციეს გურული, რისთვისაც მსაჯმა ჯარიმა დანიშნა. დარტყმა ჩივაძემ ითავა და არც შემცდარა: 25 მეტრიდან მის მიერ უძლიერესად დარტყმული ბურთი ჯერ ზედა ძელს მოხვდა, შემდეგ მეკარეს და ბადეში გაეხვია - 1:1. შესვენებამდე მეტოქეებს კიდევ თითოჯერ შეეძლოთ გოლის გატანა: 43-ე წუთზე ჟორჟიკაშვილმა ვერ გამოიყენა კორღალიძის კარგი გადაცემა, 44-ე წუთზე კი მესხის სახიფვათო დარტყმა მიქაძემ მოგერია.

თუ პირველი ტაიმის დასაწყისი ქუთაისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მეორე ტაიმის „დებიუტი“ უკვე თბილისელების იყო. ჯერ იყო და ცაავას მიერ 20 მეტრიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ხოლო შემდეგ მესხმა ხელსაყრელ სიტუაციაში ვერ დაიმორჩილა ბურთი. მართალია, 61-ე წუთზე მასპინძლები თვითონ გადარჩნენ აშკარა გოლს (ჟორჟიკაშვილის დარტყმის შემდეგ „დინამოს“ კარი ძელმა იხსნა), მაგრამ მალე მათ მიზანსაც მიაღწიეს: 69-ე წუთზე მიქაბერიძემ მარჯვენა ფრთაზე გაიყვანა ჭედია, რომელმაც კარის გასწვრივ დაარტყა, ბურთს ადგილზე დახვდა გურული და წინ გაიყვანა თავისი გუნდი -2:1. დარჩენილ 20 წუთში ქუთაისელები ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას (განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა პაიკიძის, ტყავაძის, ბარათაშვილის დარტყმები), მაგრამ მათი ყველა ცდა წარუმატებლად დამთავრდა. მეტიც, მატჩის ბოლო წუთზე უკვე ტორპედოელთა კარი გადარჩა გოლს - მეკარესთან პირისპირ გავიდა მესხი, მაგრამ ბურთი პირდაპირ მეკარეს მოარტყა.

ორივე გუნდის რიგებში კვლავ ვიხილეთ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელი რევიშვილის თამაში.

დავით კაკაბაძე
ლელო 2.08.1986